

თეატრი

№ 47

საყოველ-კვირბათ სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 47

ბიოგრაფიკონი

გამოცემა ყოველ კვირას

1886 წელს.

ესი გაზეთი „თეატრი“-სა ერთი წლით..... 5 მან. X სსსკარ წლით... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რუაქც. კონტორაში ანუ რუაქც. კონტორაში ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდარიძისთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისყიდება: თბილისში ჩარკიანის წიგნის მაღაზიაში, შვედლოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. შსთბილისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რუაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რუაქციაში ინახება მხოლოდ ერთ თვეს. სტატიების უკან გავზავნას რუაქცია არ კისრულობს.

რუაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევი იყვნენ დაწერილი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“⁴⁶ Галерея бнв. Арцруни № 110.

ქართული თეატრი

ბენეფისი მ. საფაროვი-აბაშიძისა. დღეს ქართულის დრამ. დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დავით აღმაშენებელი

კომედია 3 მოქმედ., ფრანკოზ. გადმოკეთებული თ. დავ. ერისთავისაგან.

II

პირველად

ბანჯალა მასწავლებელი!

კომედიი 1 მოქმედ., გადმოკ. მ. საფაროვი-აბაშიძისაგან.

მოთამაშენი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარდასა, ლეონიძისა, ბბ. აბაშიძე, ალექსევი-მესხიევი, აწუყრელი, ცაგარელი და სსკ. დასაწყისი სწორეთ 7¹/₂ საათზე.

მართალი თეატრი

ქართული დრამატული დასი ჩვეულებრივად მეტადინგობს და დღე-დღეზე უფრო მეტს მაკურებლებს იწვევს თეატრში, ამიტომ იმედია, რომ ხალხი თან-და-თან უფრო შეეჩვევა თეატრში სიარულს. მაგრამ ერთი გარემოება ხალხის ასეთს თანაგრძობას ცოტა არ იყოს ფრთხილს შეჰკვეცავს. საქმე ის არის, რომ აგერ მესამე თვე გადის რაც ქართულ. დრამატ. საზოგადოების დასი წარმოდგენებს მართავს. აგერ მეთოთხმეტე წარმოდგენა სრულდება, მას აქვთ რაც სეზონი გაიხსნა და ჯერ ჯერობით ერთი ახალი პიესაც არ უნახავს ჩვენს თეატრს. ჩვენის აზრით ეს

გარემოება დიდ დანაშაულებად უნდა ჩაერიცხოს დრამ. კომიტეტის გამგეობას... ჩვენ გამოვეყვებით და გულწრფელად ვიტყვი, რომ თუ დღეს ხალხი თეატრში დაიარება იმიტომ კი არა, რომ თეატრის საქმე მარტო საგანგებოდ იყოს დაყენებული, არამედ იმიტომ რომ ხალხი გონების თვალთ უყურებს თეატრს, უძნობს რომ თეატრს დახმარება უნდა და ამიტომ არც დროს და არც ფულს ზოგავს.

მართლაც, რომ დავაკვირდეთ, რა უნდა იწვევდეს ხალხს თეატრში? მართალია, ჩვენი დასის არტიტები მეტად ხელოვნურად თამაშობენ და ყოველთვის სასიამოვნოა მათი ნახვა სცენაზე, მაგრამ რაც გინდა დახელოვნებული დი სასიამოვნო თამაშობაც იყოს, თუ კი ხშირად იმეორება, ხელოვნებას ფასი ეკარგება და სიამოვნების სიმატლევ მალე ჩლუნგდება. ტყვილად კი არ უთქვამს ჩვენს დიდებულს პოეტს: „ოდეს ტურფა გაიფდეს აღარ ღირდეს არცა ჩირად“!

საზოგადოთ ჩვენს თეატრში სულ ერთი და იგივე ხალხი დაიარება და ამიტომ საკვირველი არ არის-რა, რომ ყველა მაყურებელმა კარგათ იცის რას იტყვის ამ და ამ სცენაში მ. საფარ-აბაშიძისა, როგორ კისკის მორთამს, როგორ ის სიკეკლუტით გადმოზღვერის ხალხს, კარგათ იცის აგრეთვე როგორ გაშლის ხელებს ნ. გაბ. ცაგარლისა, სად დადგება, როგორ მიაყრის კოქოლას, ან რა სასაცილო სახეს გაიკეთებს ე. აბაშიძე, ან კიდევ რომელ ადგარს წაივლებს ზელს თმაში მეჩხივი და სხვა-და-სხვა. იმ პრესებს, რომელთაც დრამ. კომიტეტი უწყალოდ აჯავლაგებს, ყოველი მაყურებელი იცნობს და ბერმა ზეპირათაც იციან მთელი სცენები, მონალოგები და დიალოგებიც. მაშ რაღა დარჩა ხალხის მოსაზიდველად? თითქმის არაფერი.

რით უნდა აიხსნას ასეთი უყურადღებობა რეპეტუარის შესახებ დრამ. კომიტეტის მხრივ? ნუ თუ ახალი პიესები არ მოიპოვება. თუ ორგანიზაციური არ არის, ნათარგმნი და გადმოკეთებული ხომ ბლომად იშოვება. ამბობენ ნათარგმნი პიესებზე ხალხი არ დაიარება. ჩვენის ფიქრით ეს შემცდარლი აზრია. ჩვენ ხშირად დავსწრებივართ გადმოკეთებული (ესე იგი გადმოთარგმნილი) პიესებს და ხალხიც ბლომად გვინახავს თეატრში. ან იქნება ახალი პიესები იყვეს და კომიტეტს შრომა ეზარება? ახალი პიესების მომზადება? მოთამაშების გაწურთნა და სხვა. მაშ რაღა მაქნისია ტვატრის რეჟისორი? ერთის სიტყვით კითხვები ბევრია და პასუხს კი ვერც ერთს კითხვაზე ვერ მ-ვიღებთ. ასეა თუ ისე, მაინც, ყოველ შემთ-

ხვევაში კომიტეტი სუსტობს და ეს სისუსტე ეგონებთ სამუდამოდ სნეულებად გადაქცევა.

დროა, რომ კომიტეტმა რეპერტუარზე მოიფიქროს, თორემ სეზონი თავდება, სულ თხუთმეტი-ღა წარმოდგენა დარჩა სეზონის ბოლომდე და თუ ნახევარ სეზონში და თორმეტი წარმოდგენაში ერთი ახალა პიესა არ იყო დადგმული, არ გვეგონია, რომ მომავალშიაც რამე გამოდნეს... ამიტომ ნურავის ნუ ეწყინება ჩვენი გულწრფელი შენიშვნა და ვისაც სურვილიც აქვთ და ღონეც მოსდევთ—იგულისხმონ.

გალიკო—ა.

მაისის დღია.

ვიშ! ამ მშენიერს მაისის დღიას,
გულის მომალსენს, ჭმუნვის გამჭრბუქს,
ვიშ! ამ შუენებს მდიდრულად მართულს,
კაცთა ცხოვრების გამაღვიძებულს.

ვიშ! ამს კელთა კაზმულთ ვეგვილით,
ათის გვარ ფერით შეზაგებულსა.

ვიშ! ამ სამთხის ნამდვილს სურათს
კაცთა ოცნების აღმამფრენელსა.

სართბს ბუნება, ჭეკვის მტნარე,
ბაღსაში ტურფად იშლება ვარდი,
აღმინასაც ამ სურათის მჭერეტს
გულისადმ სრულად ეურება ღარდი.

ვიშ! ამს სურათს განამსხეუებულს,
ურთუარს წინდსა გაზაფხულისას,

ვიშ! ამ ღამისს თუეს ნამდვილს თავს მდებს
ბუნების კვლად განასლებისას.

ქაიხოსრო გელოვანი

* * *

გზემარჯოს ნაცნობო,
სიურმით ჩემო ცნობილო,
მეგობარო სატრფოკო,
ამხანაგათ სმობილო!

შენი ნახვა მწუჟრინს
მინდა მოგესაღამო
და დაკოდილს წყლულებსა
მით გუმზადო მღამო.

თუმც შორსა ვარ შენსედა
და აწსად აღარ ვხედავთ,

მაგრამ გულით და გრძნობით
ძანც მიახლოვდება.

შენსედა მაქის მარადის
განუწყვეტლად უბნობა
რა თვალ-წინ მესატება.

შენი გულ-წრფელი გრძნობა.

შენთან ტეზილი ბასი,

გულის დამატებობელი,

ამხანაგური რჩევა,

სამომ საგრძნობელი

ამით უკელას ვაკლივარ

რა თვალთ ვეღარ გნახე,

მაგრამ კი ერთგულება

ღრმით გულში დავიმარხე

ოდეს განული სარბიელს

მცირეს სიცოცხლისას

უგანასკრულს ოხრებსა

მწარეს შავის დღისასა, —

იმას შენ ჩავბარებ

შენ გადდასცემდე სხვათა

და მით აუღელვებდე

მათ გულში ცრემლის ზღვათა.

რომ ამ სოფელად მრავალი

გნახე უწყსობა,

დაჩაგვარ სიმათლის წილ,

უმგზავსო უღმერთება.

საწყული თესით მჭეღავი,

განმტრალი სათოება,

სიცოცხლეს მიწამღავდა

ეს წამსდარი დროება.

სადღა გითსრა რეგარად

ბედმან გუა დამიცარა

და ეს უნდო სიცოცხლე

უღმერთოთ გამიმწარა.

ძანც კადეუ ნასვამდის

სრულად არ გეთხოვები

შენთანა ვარ მარადის

არ ჩამოგეთხოვები!..

კ. ნინო ორბელიანისა.

წვერილი აზვები

ჩვენ შეეიტყუეთ, რომ ბ. ალ. ცაგარელს თავისაგან
შედგენილი ქართული ძველი წიგნების კატალოგი ცა-
ლვე წიგნად დაუბეჭდია. ამ კატალოგში ჩამოთვლილია

უკელა ის წიგნები, რაც მას აერუსალიმის ქართველების
ფარის მონასტერში უბოვიაო. კაი იქმნება, რომ ბ.
ცაგარელმა კატალოგი შეტერბურგელამ თფილისშიაც გა-
გზავნოს გასაყიდათა.

* * ამ დღეში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი სელთ-ნა-
წერი წიგნი, სასელდობრ—სახოგადო გეოგრაფია, და-
წერილია ჩვენის გეოგრაფის ვახუშტის სელით, სელთ
ნაწერში სხვათა შორის ჩართულია საზოგადო რუკა,
რომლის დასატვაც საკუთრივ ვახუშტის ხელს ეუთუ-
ნის. წიგნის დაწერა ძიეწერება 1776 წ.

* * თფილისის სემენარიის მასლობლივ, ამ ბო-
ლოს დროს სახალხო სამრეკლო სკოლა დაუარსებიათ.
ამ სკოლაში ასე უბნათ 40 შეგიარდზე მეტი სწავლის
მისაღებათ.

* * წარსულს კვირას, მისილოვის სიღვე ერთმა
შინაურმა ფეატონმა ერთი ჰატარა ბიჭი გაიტანა. ბიჭს
ზედ უელსედ გადაუარა და ცოცხალ-მკვდარი ბავში სას-
კად მყოფოში წაიყვანეს

* * თფილისში აღმოჩნდა ორი ჰატარა სომხე-
რი ლოცვანები, ლოცვანები ერთი ეტზემპლიარა დაბეჭდი-
ლია 1820 წ. მეორე 1845 წ. ორივე ქართულის ასო-
ებით არის ნახეჭდი, ერთის ლოცვანში სიტყვები-კი სო-
მხურია და მეორეში-კი მთლათ სიტყვებიც ქართულია,
ე. ი. სრული თარგმანია სომხურს ენით ქართულს
ენაზე. ამ გვარი წიგნები ჩვენ ძნელად შეგვმთხვევია და
ამიტომ ვსწერთ აქ ამის შესახებ.

ხალხური ლექსები.

მე რომ ზარდაოს ვიყავი, ხელში ავიღე შოლტია,
მეზობლებს გამოგეთხოვე ჩამოკარიგე ზროშტია;
მამხანაში რომ მიველი წყალი იყო მეტად ძვირი,
ჰატარაძღვას წყალი ვთხოვე—წყალზედ ვახლავთ ჩვენი ვირი;
გაიცინა, გამაცინა, დამხანავა თეთრი ვბილი,
უბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო ლეღვის ჩირი;
— აჭა, უმაწვილო, მიიროვი, ნახე როგორმა—ტეზილი,
ურუძრად მეუბნებოდა: შეიყვაროს შენი ტირი!
— შენ ჩემი ტირი რათ გინდა, ასეთ ალაგას წაგაყვან
ილი, მისაჰ.—დარიჩინი, ასლო ჩამოგაიგლის წყალი,
აღარ მოგინდება ვირი, დაიჩინე დილის ძილი.

(შეკრებილი ლაგრენტი დოლოფობისაგან.)

მოსწრებულა სიტყვა.

ერთსელ ჩვეულებრივი თაგ-შესაქნევი საღამო იყო ს. ნ. სახლში გამართული, სხვათა შორის ჩვენი ზესტე-ცემული მამიაც იქ იყო. ათი საათის ნახევარი იქნებოდა, როცა გ. მ. შემოვიდა და ყველას დამთავრებული ანბან-ვი უთხრა: ვ. უკანასკნელი დროზედ არისო.

— რა დემართა: ჭკობისა უკვლამ.

— ესლა გ—ნი კვიში იყო და სოჭკა ტვინის ან-თება აქვს და საშაშაოა.

— მაგ გ—სსაც უმტყუენია, თორემ ტვინის ან-თება როგორ უნდა გაჩენიდა, ტვინი რომ არ მოკლ-ებოდაო! მიუგო იქვე მდგომამ მამამ.

— ზარიზის თეატრალურს კრიტიკოსს გამოხენილ სასრეს ძლიერ დიდი ყურები აქვს. ერთსელ ვიღაცას ეს სასრესთვის შეუნიშნავს.

მართლს ბრძანებთო, — მიუგო სარსემ—ჩემი ყურე-ბი ცოცხა არ იყოს მოდიდა ადამიანისათვის, მაგრამ დასწმუნებული ვარ დამეთანხმებით... რომ თქვენი ყურე-ბი ძლიერ ზატარება ვერისათვის!

იმერეთში გავონილი *)

დიდებულა ხელმწიფეო, ძალალო და ღამო-ჭკველო; გვარ-ტომობით ხარ განთქმული, სოლომონის სობობის მცველო. გულ-ჭკველო და მართლ-მსაჯულეო, მტერ არგულთა ზარ დაჭრეო, და ჭკრეისა ობლებსა შემსახულა-გამომზრდელო.

სიმაღლის მოწყალებითა, თავს გდგას გვირგვინი ზეცე-თა, დაამხოს თვენი ორგული, ვინც თქვენსედ იყოს კეის-თა; უფალმან სრმალი გიკურთხეს, მტერს გულს დასრო ჭე-სითა, და ნატარმდიდგან გამჩაგდეც, არიან მესის ტესილოთ.

*) ეს ლექსი, პირადი გადმოცემით, წულუკიძის ქალს-ქა-ფიას ქვრივს, რომელიც შესამჩნევი ღამაში ყოფილა, უნდა მიეწეროს დიდის თავადისთვის, რომლის ყურადღება დაუმსახურე-ბია ქვრივს სილაშიზეს. მაგრამ ეს კი ვერ მითხრეს რომელი თავადისთვის ხან როდის?

ნუ მოაკლებ სიმაღლეს განმარჯულე მოწყალებს: მე ჭკრევი ვარ შემოწმარე არისი მაქვს მოგვარება, ჭამკობი გამიისი, მიყავ სუედის მოქარება, და ასეთს არას გამოკითხოვ, არ შეგუდლოს მოხმარე-ბა ..

ცხვარცხარცა და თვესრევი მომენ გავრული დაფითა, შლიაზა დაადე მსუედა, არ გავიწენწო შხაბითა.

თაღნი ვაბა და საგულე საწიულ-ქობითა, ბივითა— და რაც ვითხოვო ვარს ნუმიქ, მიბოქე იფინსლა; სწრა-ფითა.

ჭათობისს არ ჩავიცვამ, სიასობს კარსუს კადე. საწვიამისს და ტოლომისს, სარტყელს, ზეზუნს გარდა-მოკლიდე;

მოვისა და შეიდისა თხოვნას ძლიელა გავბედედე. და მაგრამ არ გსოქვა არ იქნება, ვინ მომიტყედეც თქვენ-გან კადე.

თავით ფესმდი შემომსე; დაადე წაღამაშა, თქვენი საუნჯე იქნების არ ჩავარდნილა წყალშია; არც განიყოს მდილთაგან არც ჭკრედის მოხმარება, და წყალობა აღარ დირს მწყალობს, ვინც მეტად იქ-ნეს გავარშია.

ნუ მოაკლებ სელმწიფეო, ჭვემტებულს, ბუმბულს, საბანს ბაღაშა და დორის ზირსა, შესადებათ წიგნით ბამბას; ორხაოს და ზენწარესა, გტრე ღმერთი ცოდეცს გავბანს, და ქვასა, თუნგსა, ტაფა-ტაშტას და წურწურმა ხელის სა-ბანს

საქმლის მსალსსაც ვითხოვ დიდებულის ბატონისაგან; მისაგს თა დარჩინსა ვერ დამაკლებ ერთისაგან! ილ-ვაფრანსა, დარის ფორფელს ვიფინსება სხვების-გან, და ჩაისა, ჩაის უფას სშირათა ვსვამ სუედისაგან.

მაზედ მიბოქე მეფეო, უცხო ჭკუენისა სიღა: ნუმი, ნულდი და ქიშიში საჭმელათ არის ტებიდა; ინდოეთელ სუძელს ვეწეობი, შორი გსა აქვს მოკლი-ლა, და შაქარი, შაქრის ვინული მიდიდგან გატესილა.

თეატრის კვირა

მოქმედება მეორე.

ბალი მანასეს ვილლაში, სცენის უკან ნაწილში ესტარდაა, რომლის კიბესაც რამდენიმე საფეხური აქვს.

გამოსვლა პირველი

მანასე (კიბეულობს ქაღალდს) და სვიმონ.

მანასე.

აწა მგონია, აწას გზით აწა,
რომ ის მოვიდეს!... სიღვა, დე კასტრო,
ბენ-იოსაი, ვანდერ-უმბენი, —
ეს უოკელივე როგორც რიგა,
ისეა .: მავრამ ეს, ეს სტუმარი....

სვიმონ.

ეკ თქვენმა ქალმა თვით დაჰპატიოთ.

მანასე.

აწა მგონია! ნუთუ ვერ გიდეკ
აწ გავუცა ჩემს ქალს იმისი
უბედურება?

სვიმონ.

შენი ქალიცა

აგერა მოდის; თვითონ მას ჰკითხე. (გადის).

გამოსვლა მეორე.

მანასე და ივლითა.

მდეეს! მამაჩემო განა იქნება
ამდენს ხანს მარტო ჩვენი დაგდება?
დრო აწის ახლა შენც გაიცალო
ამსტერდამის ბიჩყის მტერი!

მანასე.

რა გამოვას, თუ სახლშიაც წაჩუნება
აწ მამშორდება?

ივლით.

განა მეჯლისი

მეც, მამა, ისე აქ აწ გავმართე,
როგორათაც შენ გამართავ სოღმე
ჩვეულების-მებრ კვირაში ერთხელ?
განა მეც დღეს აწ დაგეპატიოე
ჩვეულებრივა შენი სტუმრები?

მანასე.

აკოსტა როგორღა დაგეპატიოე?

ივლით.

ერთი კვირას აქ აწ ყოფილას!

მანასე.

განა მე შენ აწ მოგწერე, რომ მას
მოკლეს წყევლას სინდოლისა?

ივლით.

მიეტას სწორედ მაგისათვის
დაგეპატიოე ის.

მანასე.

როცა მას სხვანი

კრიდებინ.

ივლით.

მე კი მაგისთვის

ვიხსლოვებ მას.

მანასე.

მე იმედი მაქვს

იგი აწ მოვას, რაკი მიხვდება,
რომ მის პატიოთ თავას იყო
და ჩვენც გავიწივს დიდს თავასას
თუ რომ აწ მოვას...

ივლით.

როდის აქეთი

გასდა მანასე დეთის მოსავი?
როდის აქეთი სწამს სინდოლდა
რუბენისის და დივას მეგობარს?

(უჩვენებს ბაღში აღმართულს სტატუეზზედ).

ილიამ და სხვას წინასწარმეტყველთ
ის სტატუები აწ დაამსხვრეთეს,
თუშც მათ უაწ ჰყოფს უბრავლთ სჯული!
აწა, აწ მჯერას, რომ აწა გჭონდეს
იმდენი ძალა, გამბედაობა,
რომ თქვენს საფარველს ქვეშე მიიღოთ
უსულო მარმარილოს მაგოვრად
ცოცხალი ხალხი!

მანასე.

მე აქ მიცნობენ

როგორათაც კაცს თავისუფლად
მოაზრეს და მოლაპარაკეს,

და მით ვამყობ, რომ განკითხვის დღეს *)
 ჯერ არავის არ ვუნახავ
 სინანულის ტანისამოსით.
 მტერი სიჭრუვის და ბორბლების
 დიდხანია ცხადად გეკუთნი
 იმ თავისუფლად მოასრეთ რიცხვს,
 რომელიც მხოლოდ იმას ღებულბს
 სოკრატის, მოსეს, ქრისტეს სწავლიდამ,
 რაც რომ ვარგია და სისარგებლო.
 მაგრამ რადესაც ასტრელებს, ივლით,
 ერთი ჩხუბი და თავისა მტერებს
 ძველას ცრუ-მოწმუნებისა გამო,
 რაიც სწამს ესა იმავე თავიადმ,—
 მაშინ უმა ვსდები სარწმუნოების,
 რომელსაც კრი თვით აღვარებს
 და გარეგანს ჩემს მოკვლეობას
 წინააღმდეგი ვერ გაუუხდები...

ივლით.

ცხოვრების მტლანკს აქ ვატივს სტუმრ
 და მეტნიერს კი სულ მოკვლეობით
 ერთდებიან!..

მანასე.

ამბობენ, შვილო,
 ვითომ შენ იყო იმის მიზეზი,
 რომ ჩვენ აკოსტას ასეთს ჰტივის გვტყმს...
 ორი რამ ჩემთვის ძვირფასი არი:
 პირველად ჩემი ტბილი ოჯახი,
 მისი მშვიდობა, ბედნიერება.
 მეორედ ის ხმა, რომელსაც კრი
 უძახის სოლმე «ხმასა ერისას»;
 მის გასინჯვაში მე არ შევდივარ,
 იგი არის—და მეც აწ იმასა
 ვემოწმებო.

ივლით.

მაშასადამე,

აქ სიამარტლე და ცხოვრების ცოდნა
 ერთის და იმავე გზით არ დადიან!

მანასე.

სასტიკი არის და უღმობელი
 ცხოვრება და მის ჩვეულებანი.
 შენ ჩვენის სჯულით იხსიანსე
 დიდხანია დანიშნული ხარ
 და ამისათვის ორივე ერთად

თქვენს ნაცნობებსა და ნათესავებს
 უნდა ეჩვენოთ...

ივლით.

და... ყოველივე...

გე მასხრობა...

მანასე.

დღესვე...

ივლით.

ოჰ, მამა!

მანასე.

მეც ვიცი, ივლით, ბენ-იოხანი
 შენთვის არ არის ისეთი საქმრო,
 როგორც ქება-ქებათაშია
 აწერილია. მაგრამ... ცხოვრების
 მოთხოვნილება ასეთი არის!
 ხალხის წინაშე თქვენ უნდა წარსდგეთ
 ნახად სელი-სელს ჩაკიდებულნი
 და შემდეგ თქვენი ანგარიშები
 თქვენს გულსა ჰკითხოთ...

ივლით.

და შენ გგონია

გე ანგარიში ადვილი იყო,
 ვით ანგარიში თქვენის გაჭრობის?

მანასე.

კარგია! კმარა! დღეს ჩვენს მეჯლისში
 აკოსტას ყოფნა არ შეიძლება!
 მე არა ვსურვებ! ნუ განმჯავრებ!
 ხომ იგი-მე არ მიყვარს ურჩობა.

(მიდის ტერასზედ).

გამოსვლა მესამე.

ივლით (მარტო).

ოჰ, ცხოვრებაში გამოცდილება!
 მე შენ სრულიად ვერ მიგხედარივარ
 ვერცა გონებით და ვერცა გრძნობით!..
 ოჰ, ღმერთო ჩემო! რა წამებაა
 აჩვენო თავი მას ვითომ გიყვარს,
 ვინც გძულს თვალისა დასახსავად
 და მას კი, ვინც შენ მსურვალედ გიყვარს
 ისე მოქმედ, თითქოს გძულს იგი!..
 მოდი... მესმის მე მისი ფეხის ხმა...
 აგერ ბაღისა კარებსაც ადებს...

შესეთ როგორის ჩქარის ნაბიჯით
 მოდის ჩემთანა.., ჩემი კარდები
 მას თავს უგრავენ ალერსიანად...
 ოჰ, ნუთუ ესლაც უნდა დავიხე მე
 გულ-ცივის მამის გულ-ცივი ჭილადა?
 ნეტა რა მიშდის, ან რა მასრეოლებს
 ჩავიკრა იგი გულში მსურველედ
 და ნეტარებით დამთვრალმა გუთხნა:
 მიუგანსარ ესლაც, კვლავც მეყვარები!
 არა, სჩანს კიდევ ჩემს მღელვარე სულს
 სულ-მოკლეობის ბოროტილი აძეკს...
 რომ მოუპოვო შენს თავს უფლებსა
 და სრულად მოსპო უთანხმოება—
 რას ამბობს თვალი და გული რას გრძნობს,
 რას გრძნობს გული და ჰირო რას ამბობს—
 ამისათვის საჭირო არი
 გამბედაობა... მე არაფერი
 ჯერ არ მიქნია.. და ვერც გაუბედავ..

გამოსვლა მეოთხე.

ურთულ და ივლით.

ურიელ.

გულის სწორო, მე აქ მოკვდი
 მხოლოდ იმისთვის, რომ შენ გინდოდა;
 იმედი მაქვს, რომ აქ სხვას არავის
 მე არა ვნახავ...

ივლით.

შენ აქ მოხვედი

მხოლოდ იმისთვის, რომ მე მინდოდი?
 მერე ავრეთი რა გაწვევინე,
 რომ ამდენ ხანსა აღარა მნახე?..
 ოჰ, დმერთო! შენზედ რა ხმები გინდა
 რომ ამ დღეებში არ გავიგონე!

ურიელ.

რაბინებთან ბასსუდ?..

ივლით.

რას დავდეკ

მე შენს ბასსა და შენს რაბინებს?
 არა, ურთულ! გაქვია გწადა?
 მითხარი, ნუთუ ეს მართლია?
 ნუთუ გინდოდა ავრე სასტიკად,
 ანაზღუდულად წასვლა?

ურიელ.

დამშვიდდი.

ალერსიანს და მეგობრულს ბასს
 გთხოვ დახნებო ესლა შენ თავი.
 ისეთი იუაგ, როგორც უნდა
 იყო შენ-ცალი იოსიასა.
 ჩვენ ამაზედა სომ არა ერთსულ
 გვისაუბრია და გვიტირია,—
 რაღად ესები მეგლს გულის ტვივილს?

ივლით.

არა, არ მინდა, რომ უღრტვინეელი
 მოჩნდება მასწავლო!

ურიელ

ივლით!

ივლით.

დიაღ, არ მინდა! მაგ სიმშვიდისთვის
 მე მოგამოვლებ...

ურიელ.

თვითონ შენც, ივლით,

იცი, რომ ხალხი დიდს ზატეას სცემს
 რჯახის უფროსს; მაშა რომ იტყვის:
 მე მსურს—შვილიცა ბრძაღ ემოხება.
 ჩვენი ცხოვრება—საშურობილება
 კარებ დასშული...

ივლით.

ყოველივე მბ

აკოსტა მაშინ სთქვი, როდესაცა
 ემაგ შენისა იტყნეულებით
 მარტოვს სადმე იარებოდე!
 მაგრამ აქა, აქ, აი ამ ბაღში,
 სადაც შთამბერე სრულად ახალი
 და საოცარი ტებილი ცხოვრება—
 მაგაზედ შენ აქ ნურათურს იტყვი!
 ოჰ, ურთულ, ჩვენ იმ სეივანში,
 სადაც მე და შენ სშირად ვიდოდით,
 ხან ერთს ყვავილსა და ხან მეორეს
 გიჩვენებდი მე... შენცა სინჯავდი
 და მათს სახელსა მეუბნებოდი.
 შენ საოცარსა რადაც შუშაში
 შიგ მასელებდი და მიჩვენებდი

ბუნება სულს ვითა ჰმოხილავს,
 ან რადენი ძალა იმავის
 ტალში, მეტალში, მცენარეში...
 ნუთუ ყველა ეს განჭირა, წავიდა?
 არა, ურიელ, ვერ არ განჭირა!
 შენ თვით აღმართე ჩემსა წინაწე
 ციური კიბე, — და აი ესლა,
 როცა დავფრინავ ცისა სივრცეში
 და სული წმინდის სინათლით ბრწყინავს,
 შენ გსურს ეს კიბე გამოძვალა?
 არა, მე უკან არ დავბრუნდები,
 არა, ხალხის სმის მე არ ავეუბები!

ურიელ.

ოჰ, ივლით. ივლით! ცხარის ცრემლებით
 ამ ყვაილები ყველა ფურცელზედ
 დაწერილია ყოველივე ის,
 რაც ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის..
 მაგრამ ეს ყველა მოჩხა, დასრულდა...
 ჩემს თავს ჩავრაცხდი უღმობელ გაცდად,
 რომ არ დამესმო მე უღრტკინეკლად
 კენეს სულისა და მიმეყვანე
 იქ, საც ორი გზა ერთად იყრება
 და მეტყვა შენთვის: „ან დაიღუპე.
 ანუ ერთ-ერთი ამოიჩიე!“
 იცი შე ესლა მე რა მომელის?
 სასჯელი, დენა და შენეგება!
 ივლით! შენ როდი უნდა გიყვარდეს
 დაწვეპილი და დაწვეპილი გაცი!
 დიად, არ უნდა გიყვარდეს იგი!
 თუმც მე ეს წყევლა სასახლოდ მჩანს,
 მაგრამ არავის ნებას არ მივცემ,
 რომ იგი წყევლა შუა გამოიყოს!

ივლით.

არა მგონია, რომ უკეთეს შვილთ
 თავისი ერი თვითონ სდებნიდეს!

ურიელ.

არა გგონია, მაგრამ ხვრია...
 უმეორფასესო შენ ჩემო ივლით... (ხელს დაუჭერს მას
 უკანასკნელად. ახლა მშვიდობით!

(დაინახავს მომავალს ბენ-იოხანის).

იოხანი აქ? და ეს სტუმრებიც?..
 მას აქ ჩვენ მარტო არა ვყოფილვართ...
 მითხარი, ივლით, რას ნიშნავს ეს?
 ჰატევის მცემენ?... ამ ჰრელ ბრბოსავან
 ჰატევის ცემა მე დამამცირებს!

გამოსვლა მეხუთე.

ბენ-იოხანი, ამ რამდენიმე წამის წინად ტერასიდან ჩამოსული:
 მას მოსდევინ სტუმრები, სამეფლისო ტანისამოსით დართულ-
 ნი; რამდენიმე წამის შემდეგ გამოჩნდებიან მანასე და დე-სი-
 ლვა.

იოხანი (აკოსტას).

დასედე რა ხნით გამოგეტხოვსოგე!
 მე კი მეგონა, რომ აჭამდისინ
 გეიდელბერგში იქნებოდი შენ
 და ასწავლიდი იქ მინდვრის ჩიტებს
 მსჯულობას..

ივლით.

ამას რა ექვარება,
 როდესაც აქაც (უჩვენებს იოხანის შლიაპაზედ ფარშავან-
 გის ფროთას)

ფარშავანგები

ბლომად არიან, რომლებსაც სწავლა
 უურთ უნდათ და გამოადგებათ!
 ხელს დაუჭერს ურიელს და ტერასზედ მიჰყავს. შორიდან
 მუსიკის სმა ისმის).

იოხანი (მარტო).

ივლით, შენ ხომ მე აწ გადმოხსედე
 გორბის გულის მძულვარებითა!
 ოჰ, რა ტკბილია ის შურის გება,
 რომელსაც თვითონ ბედი გვიგზავნის
 უსებათ და ამით მოკვლობისგან
 გვისხნის, რომ თვითონ ჩვენვე აღვავსნათ
 მის ცეცხლი... (მანასე და სილვა გამოჩნდებიან).

მანასე.

არა, არა მეგონია!

სილვა.

ჟერ მოითმინე!

მანასე.

რა საშინელი

თავ-ხედობააო! მე მას სასტიკად
 აუუგრძალევი...
 იოხანი (აკოსტას)
 დამშვიდდი გიჟობს
 და ესლაე წადი, რომ იქ სტუმარსა
 ცუდი ამბავი არ შეამთხოვონ.

სილვა.

მ ო თ ს რ ო გ ა ნ ი

ლოთი კაცის სკვლილი.

მოთსრობა ჩარლზ დიკენსისა

თარგმნილი ი. ხოჭეველისგან,

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დიდი ქალაქები: დიდ ქუჩებზე მოსიარულეთა შორის ერთიკ არაინ იყოს, მგონიე, იმისთანა, რომ ვერ მოიგონოს იმ ერთი შეხედვით ცნობილ პირებში ვინმე საზიზღარი და საწყალი შეხედულობის კაცი, რომელსაც ის წინეთ სულ სხვა ყოფაში იცნობდა და ჰხედავდა ხოლმე, თუ როგორ ნელ-ნელა ეცემოდა ძირს, სანამ მისი სახე, სრულებით დამანქული, სასმელებით გაქლინებული. გამოიწვევდა შეხვედრის დროს გულსამრევე გრძნობას. ვის ცხშირად უვლია ხახლში, ან ვისაც თავის სამსახურის ანუ ხელობის გამო საქმე დაუჭერია მრავალ სხვა-და-სხვა გვარი პირებთან, იმისათვის ძნელი არაა გაიხსენოს ის დრო, როცა ეს ქუჩიანი, დაუღვთილ ტანისამოსიანი გლაზაკი, რომელმაც ეს-ეს არის გვერდზე გაურბინა მას, იყო ერთ დროს პატივცემულ, ჩინებულ ვაჭარად, ან მწერლად, ან მოხელედ კარგს ადგილზე და საქმით სავალ ვაჭარად. დიად, განა გაუჭირდება თითოეულს ჩვენს მკითხველს გაიხსენოს თავის ნაცნობების წრეში რომელიმე გადატაკებული, დაცემული კაცი, რომელსაც ქუჩაში ყველა თვალს არიდებს და რომელიც, ღმერთმა უწყის მარტო, რა ცბიერებით ცდილობს თავი დაიხსნას გაუმაძღარი სიკვდილისაგან? ამგვარი შემთხვევანი ისე ხშირია, რომ ყველა დაუვიწყრდება მათ; ყველა ამ შემთხვევებს უმეტეს ნაწილად ფსევები მაგრად გამდგარი აქვს ერთს მიზეზში—ლოთობაში; ამ გამძვინარებულ გულის—ნდობაში, ამ ნამდვილი საწამლაფისადმი საშინელ ლტოლვაში, რომელიც ისე სჩაგრავს და სძლევს ადამიანის სხვა ყველა ძალებს და მოსაზრებას, რომ ამ გულის ნდობის (წინების) მსხვერპლი ჰქარგავს და ჰლუპავს ცოლს, შვილებს, მეგობრებს, კეთილ სახელს და ყოველივე ამ სოფლიური ბედნიერებას და ჰხდება ძალიან მალე განკიცხვის და სიკვდილის დაეღადა.

ზოგიერთს ამ ბედ-შავეებს ბიწიერებამდის მიიყვანს ხოლმე რამე უბედურება და გაჭირება. ამ სოფლის ანგარიშების და იმედების გამტყუნება; საყვარელი პირების სამუდამოდ მოშორება, მწუხარება, რომელიც მათ გულს უწელილებს და ართმევს თავის-შეკავების და ჭირში გამაგრების ძალას, ყველა ესენი ჭკუა-გონებას უკარგავს მათ. იგინი წარმოადგენენ

საკვირველ სახეს გაგიყებულებისას, რომელნიც თავისვე ხელით თავს იკლვენ. მაგრამ უმეტესობა კი მათვანი სრულებით შეგნებულად და თვალ-გახელილად ქვესქელში, ვარდებიან საიდგანაც, ზოგიერთ გარდა, ველარინ ვერ ამოდის და მხოლოდ უფრო ღრმად და უიმედოთ შესტოპავს ხოლმე უფსკრულ სიღრმეში.

სწორედ ამგვარი საცოდავი კაცი იდგა თავის მომაკვდავი ცოლის სარცველთან; შვილები გარშემო ეხვეწენ მას მუხლ-მოპყრობილნი და მხოლოდ ხანდისხან ჩუმის ქვითინით შეწყვეტდნენ თავის უმანკო ლოცვას ყოველად შემძლებელისადმი. სადგომი ოთახი ძალიან ღარიბად იყო მორთული; საქმით იყო ერთი შეხედვა მკრთალ პირის-სახეზე რომელზედაც სიცოცხლის ლამპარი ჰქრებოდა, რომ გაგვეგონა თუ როგორ შეუწყვეტლად ჰღრნიდა მის გულს მრავალ წელს ჯავრი და მამულოთხველი ზრუნვები. ცრემლებით დასველებულ ბებერს ეჭირა ხელში თავი მომაკვდავი ქალი-შვილია, იმის (ბებერის) ხელგება ან უჭერდნენ გაცივებული და მოკანკალე თითები სულთ მოძოაფისა, ისინი უჭერდნენ მაგრად ქმრის ხელს, იმაზევე ისვენებდნენ მიზრეტილი თვალემა ავათმყოფისა, ქმარი კი ჰქანკალედა ამის შეხედვით. ამ უკანასკნელის სამოსელი ტალახიანი და ქუჩიანი იყო, პირის-სახეზე აღმური აღიოდა, თვალემა დასისხლიანებული და დასრეებულა ჰქონდა. ის, აქ თავის ცოლის საკაცესთან მოიყვანეს ერთი სახითათო სალოთო ადგილიდამ.

ლოგინის წინ იდგა სახურავით ქალთაქით ლამპა, რომელიც მკრთალად ანათებდა იქ მყოფთ პირების სახეს, დანარჩენს ოთახს ნაწილს ხომ სულ ბნელ და შავ ჩრდილში სტოვებდა. კვლეების უკან ღამის სიჩუმე სუფედ, ოთახში ამარცხებრივი დუმილი იყო ბუხარე კვდლის საათი ეკიდა; მხოლოდ იმისი წყნარი ტიკტიკი არღვევდა რღმა სიჩუმეს ოთახში, და ცხადად გაისმოდა ეს იქ მყოფთა ყურებში, რადგანაც მათ კარგად იცოდნენ, რომ ერთი საათი კიდევ და ის უკანაქნელს წუთს ჩამოჰკრავს ავად-მყოფის სულის საიქოს გამკვავებისა.

საშიშარი რამეა სიკვდილის მოახლოების ლოდინი, მეტადრე მაშინ, როცა ყოველივე იმედი დაკარგულია, მოჩენა შეუძლებელია; შენ კი უნდა იჯდე და სთვალა საათები იმ უშველებელ გრძელ და ბნელ ღამეებში. ყმაწვილები ისევე მუხლ-მოდრეკილი და სულ-განაბულნი ეხვეწენ ავად-მყო-

ფის ლოგინს. მარტო იმათი თავ შეკავებული ქეთიონი და ოხკრა არღვედა ისეც განმარტოებული ოთახის მყუდროებას. მომაკვდავის ენა აღარ მოჰქმედებდა. ბოლოს, როცა მისი ხელი საბანზე დაეცა მოსხლეტილი, შეიღებაც მოაშორა თვალები და ამით მამას გადაჰხედა, სრულიად ამაოდ ცდილობდა ელაპარაკა, და გადაწვა ბალიშს, სრული სიჩუმე და მშვიდობიანობა ჩამოვარდა, გვეკონებოდათ—ავადმყოფმა მიიძინაო. შეიღები შემოვხეინენ და დაუწყეს ძახილი ჯერ ჩუმად, შემდეგ ხმა მაღლა, და ბოლოს, გულის-წარმტაცებელი ღრიალი შეჰქნეს, მაგრამ პასუხი არ ისმოდა. ყური დაუგდეს სუნთქვას, ის უყვე მოსპობილიყო, — გულის-ცემას, მაგრამ არც ეს თრთოდა. ის გული გასქდა და წვალებული გარდაიცვალა. ქმარი დაეცა სარეცელთან სკამზე და ხელები მოიკიდა თავის ანთებულ შუბლზე. იგი რიგრიგად შეჰქურებდა თავის ბალებს; მაგრამ როცა იმისი თვალები შეჰხედებოდა ემაწვილებს ტარილით დასივებულ თვალებს, ის როგორღაცა უნებლიე შეჰკრთებოდა. მის ყურებს არ ესმოდა სანუგეშო სიტყვა, არავინ მოაღერსე თვალით არ უყურებდა. ყველა მას შიშით უცვლიდა გზას; ბოლოს, როცა ოთახიდან წაზოხმანდა, იმას უკან არვინ არ გაჰყოლია იმისთანა ბედის-წერაში სანუგეშებლად. იყო დრო, როცა იმას აუარებელი მეგობრები კირსაც უყოფდნენ და ღებინსაც. სად გაჰქრნენ ესლა ისინი? ერთი მეორის მიყოლით ნათესაეები, მეგობრები და ნაცნობები შემოეცალნენ და სამუდამოდ ხელიაიღეს ამ ლოთზე. მხოლოდ, ცოლი იყო მუდამ მისი ერთგული ყოველ საქიროებაში და ავადმყოფობაში; ბოლოს როგორ გადაუხადა ეს თავ-კანწირობა? გარყენილ-გაქსუებული სირაჯ-ხანადაჰ მხოლოდ იმისთვის მოეთრია ცოლის სარეცელთან, რომ დაენახა როგორ მოჰქედებოდა იგი?

იგი საჩქაროდ გამოვარდა სახლიდან და გაიქცა ქუჩა-ქუჩა. სინიღისის მხილება, შიში, სირცხვილი — ყველა ეს იმას თავზე დაეყარა. შეზარხოშებული და სახლში ნანახით თავბრუ-დასხმული ის იმ ტრახტირისაკენ გაემართა, საიდგანაც წელან მოვიდა: ქიქები მოუსვენებლად იცლებოდნენ. სისხლი იმას ცეცხლად გადაეცქა ძარღვებში და თავბრუ-დაესხა. „მოჰკვდა!...“ ჩვენ ხომ ყველა მოგჰკვდებით, და ის ვითომ რატომ არ უნდა მომკვდარიყო? ის ძალიან კარგი ქალი იყო მისთვის. ამას ხშირად ქალის მშობლებიც ამბობდნენ. ეჰ, ეშმაკმა დასწყევლოს იმათი

თავიც! განა მავათ არ გადაადგეს მარტოცა სამყოფად მწუხარება-ვაებაში? დაესხენ: ის მოკვდა! შეიძლება ბედნიერი იყო! კიდე ერთი ქიქა, კიდევე ერთი! ურ-რა! ლეინოშია სიცოცხლე და რატომ არ უნდა ასარგებლოს იმანაც ამით?..“

დრო მიდიოდა; სამი მისი ემაწვილი მიდიოდნენ; მამა ისე გაუსწორებელი, მოუქცეველი ლოთი დარჩა, მაგრამ ესლა იგი უფრო გარყენილად და საწყლად გამოიყურებოდა. ქუჩაში მოწანწალე შეიღებმა კაი ხანია მამას თავი დაანებეს, მარტო ქალი-შვილი-ლა დარჩა მასთან, რომელიც დღე და ღამე მუშაობდა და მამა შეიღს ხშირად თხოვნით თუ ცემა-თრევით წააგლეჯდა რამეს ლეინის „გადასაკრავად“. ასე მიმდინარეობდა მისი ცხოვრება და ეს ცხოვრება მისთვის სასიამოვნო იყო.

ერთხელ საღამოს ცხრა საათზე, რადგანაც ქალი-შვილი მისი დიდი ხანი ლოგინად ეგდო, და მამასადამე ფული არ უქაჰანებდა ჯიბეში; იგი სირაჯ-ხანიდამ შინ მოდიოდა. გზაზე სულ იმაზე ჰფიქრობდა, რამ თუ ქალი-შვილმა როგორმე ფულის მოვნა შეიძლო თავის შრომით, მაშინ უნდა წავიდეს სოფლის ექიმთან და ერთი რამე მაინც დაეკითხოს და შეიტყოს არის რამე საქირო თუ არა ქალი-შვილისათვის, რომლისათვისაც მას აქამომდე ყურადღება არ მიუქცევია. ქრისტეშობისთვის შფოთიანი და წვიმიანი ღამე იყო. იმან გამეღვლეს გამოსტყუა რალაც გროშები, იყიდა ჰური და გაეჩქარა შინისაკენ. ლონდონში ტემზია ერთს ნაპირზე მიჯგუფულა მრავალი ბნელი და ვიწრო ქუჩების ბოლოები დიდ ეზოებში შესავალი: აი, ერთ ამ ეზოთაქენ გაემართა მაწანწალა. იმ ადგილის ტალახი და სახლების საცოდავი შეხედულობა სწორედ აზრადაც ძნელი წარმოსადგენია. თითოეულ ამ ბუნაგ-სახლებიდან მუდამ დღე ხმაურობა და ლანძღვა-გინება გამოისმის.

ქარს თუ ვილაც სიბნელის მოყვარეს გაექრო ერთად-ერთი ფარანი, „მარე-მარეში“; მარტო ზოგიერთ ბედნიერების ფანჯრები მოჩანდნენ ბუნდად განათებული; ნახევრად დანგრეული სახლებში ქარი ზუზუნებდა; კარებს და ანჯამებში ფანჯრის დარაბებს ქრიალი გაჰქონდა; ჩარჩოებში შუშები ძაგდაგობდნენ; ერთი სიტყვით, აღამიანს ეგონებოდა ქალაქის უბანი სადაც არის ჩაიგრიეოა.

ბნელაში ის კიდევე ზემოთ წავიდა; გზაზე ხან სახლის საწვიმარ მიღს დაეტაკებოდა და ხან რას; ბოლოს მიაღდა უკანასკნელ სახლს: კარი, ანუ უყე-

თა ესტკვათ, რაც კრისიე მაგრა დარჩენილიყო იქ მცხოვრებთ სიადვილი ათერს სრულიად გაიღო. ის შეკუტუტდა მალლა ცრკაბო კიბეზე, რომელსაც სახლის ზემო სართულში აჰყავდა კაცი. ბოლოს, როგორც იქნა, გაჩნდა რამოდენიმე ნაბიჯზე თავის ოთახიდან, რომელიც უკვებ გაიღო და იქიდან მშისრულად გამოიქცირა გასათხოვარმა ქალმა საცოდავი, გახზარო სხით, თან ჩამოღვეთებულ სანთელს ეფარებოდა.

— ეს შენა ხარ მამა? ჰკითხა საწყალმა ქალმა.

— მაშ ეინ იქნება? გააწყვეტინა გულ-ნაწყენად მამამ, — რას ჰკანკალებს... დღეს მე ცოტა მომივიდა ღვინის „გადაკვრა“, ხომ იცი უფულოდ ღვინოს და უმუშაოდ ფულს არ იძლევიან! ეს რა ეშმაკი დაგმართინა, ი, გაუფუჭებულო, შენა?

— მე უქეიფოთ ვარ, მამაე, ძალიან უქეიფოთა ვარ, — უბასუხა ქალმა და თან ცრემლები ჩამოჰყარა.

— ჰმ... — წაიღმუილა იმ კაცის ხმით, რომელსაც უნდა გამოტყდეს იმისთანა რამე უჩამოგნო საქმეში, რომლიდანაც ის დიდის სიხარულით თავს იხსნიდა, რომ შეეძლოს, — შენ უსათუოდ უნდა მოარჩე, იმისთვის რომ ჩვენ ფულები გვინდა. შედი სოფლის ექიმთან, ეგებ რამე წამალი მოგცეს! მად სადაგლებს ამისთვის აძლევენ ჯამაგირს. რას გაჰტერდი კარებში? შედი რაღა შინ!

— მამაე, — წაიჩურჩულა და გადაეღობა მას წინ, — ვილგელმი ისევ მოვიდა.

— ეინა? ჰკითხა მამამ წაბარბაცებით.

— ჩუ... ვილგელმი, ვილგელმი — ჩემი ძმა, — აუხსნა ქალიშვილმა.

— მერე რა უნდა? სთქვა მამამ თავშეკავებით: — ფულები, ჭიამა, სმა? მაშ ეს თუ ასეა, კარისათვის ვერ მიუგნია: მამე სანთელი!... სანთელი, შე ოხერო!... მე იმას არაფერს არ უზამ გამოჰგლიჯა სანთელი ხელიდან და შევიდა ოთახში.

დამტრეული სკამზე, ხელებზე თავ დაყრდობილი ოცდაორი წლის ახალ-გაზდა ჰაბუკი იჯდა და თვალზე გამოშტერებით ბუხარში გამქრალს ნაკვერჩხლებს შეჰჰყურებდა. იმან დაინახა თუ არა მამა, წამოხტა.

— კარი ჩაიკეტე, მაშო, — უთხრა ჰაბუკმა დას — შენ ისე მიტყერი, მამაე, თითქო პირველად მხედვე ეხლა. მართლია, მას უკან რაც შენ გამაგდე დიდი ხანია და ადვილად შეგეძლო დაგვიწყებოდი....

— მერე რა გინდა ახლა შენ? — ჰკითხა მამამ და დაჯდა — რას ეძებ აქა?

— თავის შესაფარებელს, — უბასუხა შვილმა: მე უკანასკნელს მდგომარეობაში ვარ, ესეც საკმაოა. თუ ხელში ჩამიდგეს, ესეც ცხადია, ჩამომახრობენ. რომ მე დაუტრელს არ გამოშეგებენ, თუ აქ ვერ დავმალე, ესეც ნამდვილია. — ის ხომ არ გინდა მაგიოთ სთქვა-ცარცვა ანუ მკლელიობა რამე ჩაიდინე ჰკითხა მამამ.

— დილ, ვერე! შენ ეს ხომ არ გაუვირევე?

მამამ თავის შვილის თვალებს ვერ გაუძლო და იატაკს მიაბჯინა თვალები.

— შენი ძმები და სადღა არიან? დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მამამ.

— იქ არიან, საიდანაც ისინი შენ არასოდეს არ შეგაწუხებენ, — უბასუხა შვილმა: ლაჟონი ამერიკაში წავიდა, გარრიკი მოჰკვდა.

— მოჰკვდა! — შეჰყვირა ძრწოლით, რომლის შეკავებაც მას არ შეეძლო. მოჰკვდა, — გაიმეორა ახალ გაზდა კაცმა, — მოჰკვდა ჩემ ხელებზე, როგორც ძალი, ტყის მცველისაგან დაქრილი. ძალზე წაბარბაცდა, მე შევიკავე, მაგრამ სულ გავისვარე სისხლით ხელები. სისხლი, როგორც წყალი, ისე გადმოდიოდა და გვერდიდან: ძმა ძალიან დასუსტდა და გულს ეყრებოდა, მაგრამ იმან მიხინც დაიჩოქა ბალახში და ევეღრეაოდა ღმერთს, რომ, მისი ღედა თუ ზეცას არის, მოიხმნოს მისი ლოცვა უმცროსის შვილისათვის მიტეებაზე. „ვილლ, მე მისი საყვარელი შვილი ვიყავი, — სთქვა მან, — სიხარულით ვიგონებ შემდეგს: როდესაც ღედა ჰკვდებოდა, მე თუმცა ჰაწაწა ვიყავი, მაგრამ მუხლმოდრეკილი ვიდექი მის სარეცელთან და მადლობას ვსწირავდი შემოქმედს, რომ იმან იმდენად ჩამინერგა გულში ღედის სიყვარული, რომ ის ჩემი ცუდი ქცევით არაოდეს არ ამიტყრებია... აჰ, ვილლ, ის რატომ მოჰკვდა და მამაჩემი კი ცოცხალი დარჩა!“ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, მამაე, და შენ ეხლა როგორც გინდა ისე გაიგე. შენ იმას, როცა გადაკრულში იყავი, — ცხვირპირში სცემე, ამის შემდეგ, გახსოვს, ჩვენ გავიქცეთ, და აი ეხლა რით გათავდა ყველაფერი!..

ჰატარა ქალი მწარედ ქვითინებდა, მამას ხელები დაეფარა პირზე და ირწეოდა ხან აქეთ და ხან იქით.

— თუ ჩამიდგეს ხელში, — გააგრძელა შვილმა, — საღრზობელა არ ამცილდება, მე მოჰკვალი ტყისმცველი. აქ ისინი ვერ მოგაგნებენ, თუ შენ არ გამცემ, მამაე; სანამ შემთხვევა არ მექნება გაქცევისა მე შენთან დავიმალები.

(გაგრძელება.)

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რადიფიცი მოსაზრება

შოთა რუსთველზე.

საქართველოს მესტორიებს და არხელოვებს მრავალი შესანიშნავი საგნები აქვთ გასარჩევ-გასარკვევი და ერთი ამ მრავალთაგანი არის ბრწყინვალე „კეფის ტყაოსნის“ დამწერის სახელია და გვარის გამოჩნრევა, გამოძენა და ნამდვილის და სწორე ქემ-მარიტის ისტორიულის ცნობებია მეოხებით სიმართლის აღდგენა და დამტკიცება. უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს ცხოვრებაში და მოქმედებაში, თუმცა შოთა რუსთველის სახელია და გვარის გამოკვლევის და აღდგენის მინც ისეთი დიდი-რამ მნიშვნელობა არა აქვს და ჩვენთვის კაცს ნაშრომი საჭირო და არა მისი სახელი, მაგრამ რაც უნდა იყოს, ყოველს შემთხვევაში, ჩვენთვის არამც თუ რუსთველს ნამდვილი სახელისა და გვარის ცოდნა არის საჭირო, არამედ რუსთველის ყოველი ის უბრალო ცნობებიც კი საყურადღებოთ უნდა მივიღოთ, რაც კი რუსთველის ბურჟუაზი მოკვლს ცხოვრებას შეეხება და შეემატება რამე რუსთველის ცხოვრების და მწერლობის ცნობებს ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინემც მეთერთმეტე და მეთრმეტე საუკუნეში საქართველოს ძველის დროის, თავდაზნაურებით გამრავლებას და მონასტერ-ციხე-კოშკების გაწელებას.

რუსთველი არის წარმომადგენელი მათელის მეთორმეტე საუკუნისა, იგი არის საქართველოს მრთელი წარსულის სიმდიდრე, გონებრივი ძალა და უნდა ისიც ვსთქვათ, რომ რუსთველი არ წარმოდგენს ჩვენს განსაკუთრებითი კუთვნილებას, იგი არის საზოგადო, იგი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე განცალკევებულს ტომს, ის ეკუთვნის მრთელს დედა-მიწის მცხოვრებთ, მათელს კაცობრიობასა.

რუსთველის მცირე ხნის შემდეგ დროის დანტევის თუ დღეს მნიშვნელობას აძლევენ და საყურადღებოთ სთვლიან მრთელის კაცობრიობისათვის და აფასებენ მას ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ დაფასებისათან მას. ბერს ნაკლულეფანებას და უსარგებლობასაც სწამებენ, ამან თავის თხუზულებით ხალხს ენება უფრო დიდი მოუტანა, ვინემც სარგებლობაო, ამის თხუზულებამ ხალხის სულსა და გულსა უფრო მისტიკური მიმართულება მისცა და მით ერთი ათად უფრო დაბნულა, და მოშხამა მათი გრძობა და

პროგრენბაო. ასევე ესაყუედურებიან ინგლისის „დაკარგული სამოთხის“ დამწერს მილტონს. ¹⁾ რუსთველში კი დანტეს ნაკლულეფანების მ-გაფეს ჩვენ ვერას ვპოვებთ. იმასაც მოურიდებლოე ვიტყვათ, რომ ოდემე თუ ევროპიელთ ხეირიანად გაიცენეს რუსთველი, მაშინ მას უფრო მეტ ღირსებას მისცემენ, მიწამ სხვებს; მაგრამ რუსთაველს ცხოვრების და სახელ-გვარის უცნობლობის შესახებ ჩვენ კი დიდად გვისაყუედურებენ, რამ ჩვენ ჩვენის ერთად ერთის გონებით წარმომადგენი კაცის შესახებ ვერც სახელი დაიცეთ, ვერც გვარი და ვერც ცხოვრების ცნობები შევეკრიბეთ და გადაეცეთ მათ იე, როგორც რიგი და წესია. ინგლისელთ თავიანთ ხელოვნების წარმომადგენის შექპირის კაბინეტიც კი დაიცევს აქამდის; გამოჩენილმა და პატივცემულმა ბელინსკიმ რუსის პოეტის პუშკინის არამც თუ ცხოვრების წერილმან ცნობებს მაქცია ყურადღება და საჭიროდ დაინახა, არამედ ის განცხადებებიც კი მნიშვნელობიანთ ჩასთვალა, რაც კი პუშკინს უწერია და უბეჭდადეს როგორც თავისგან დაარსებულს ჟურნალს „სოკრემენიკში“ 2838 წ. ისევე სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენ, საქართველოს, გამოჩეილის და უძველესის დროის ერთათ-ერთი განთქმულის უზუცესის პოეტის სახელი და გვარიც რომ არ ვიცოდეთ, მე მგონია, რომ ეს კი მეტის მეტი საზარხი უნდა იყოს ჩვენთვის, თორემ სხვა ცნობებს ვინ ეძებს და ან ჩივის.

შოთა რუსთველის სახელისა და გვარის შესახებ ჩვენს ძველსა და ახალს მწერლობაში თითქმის რომ არაფერია დარჩენილი. რუსთველის სახელი სადმე ძველს წიგნებში თუ არის მოხსენებული, ისიც ბრწყინვალე „კეფის ტყაოსნის“ მეოხებ-თ, რომ „კეფის ტყაოსნის“ შოთა რუსთველმა დასწერაო, ამით თავდება მთელი საქართველოს ძველი მწერლობის ცნობები ისეთი კაცის შესახებ, რომელმაც ჩვენ დავეტრთვა შესანიშნავი თხუზულება „კეფის ტყაოსნის“ და რომლის დამწერაც შედარებით ბერს შესანიშნავ პოეტებზე მაღლა სდგას; ამისთანა კაცის ცხოვრებას საქართველოს მატანე თითქმის სულაც არ შეეხება და ორიოდ ცნობის გარეშე თითქმის ნამდვილს სახელს და გვარსაც არ გვაუწყებს. ამ გვარი უყურადღებოთ თით გამოჩენილ მწიგნობარ ვახტანგ მეფესაც ეტყობა. ვახტანგ მეფე „კეფის ტყაოსნის“ ვრცელის წინაძიკუვაობაში, რომელიც მან 1710 წ. თვისგან გამოცემულს „კეფის ტყაოსნის“ გაუკეთა, მასში რუსთველის შესახებ სიტყვასაც არ სწერს, ერთ


¹⁾ История умственного развития Европы 1866 г.

ალაგას მხოლოდ იმას მოიხსენებს, რომ მგონი რუსთველი დიდი კაცის შვილი იქმნებოდაო. აი ეს არის ენხტანგის მთელი შრომა რუსთველის ცხოვრების შესახებ. სხვა ძველი მწერლები კი ამას უარს ჰყოფენ, და უწყინან, რომ რუსთველი დიდი კაცის შვილი არ იქნებოდაო, ამის საფუძველათ რუსთველს „ვეფხვის ტყაოსნის“ წარწერილი ეპიგრამა „ათასად გვარსი ღაფასდა“ მოჰყავს, ჩვენ კი უფრო ენხტანგ მეფის აზრს ვემორჩილებით.

ასე იყო და ასე აუხსებდენ ძველად ჩვენი მამაპაპები თავიანთ დროის გონებით გახსნილ პირებს. ძველად ერთ რომელიმე ნაზირს უფრო მეტი პატივი და სახელი ჰქონდა, ვინემ რომელიმე მწიგნობარ პირსა, ამას ცხადათ გვიმტკიცებს არამც თუ მარტო „ვეფხვის ტყაოსნის“ დამწერის, შოთა რუსთველის ცხოვრების ცნობები, არამედ „ვისწამანის“ მთარგმნელის დაეთ საათაბაგოელის. „ამიანს დაწკანის“ დამწერის მოსე ხონელის, ჩაბრუხაძის, შაფთელის და „დიღანის“ დამწერის სარგის თმოგველის. მაშინდელი დროს მწიგნობარ პირებს ასე დაუდევრათ უცქეროდენ იმ დროის მეისტორიე პირები და ეწვე დაუდევრობა გარდა იმის მიზეზად, რომ დღეს იმ კაცის სწორე სახელი და გვარიც კი არ ვიცით ჩვენ, რაზედაც ხშირად ვსწერთ; ესაუბრობთ, უცხოელთ თავს ვაწონებთ მით, ვმედიდურობთ და სხვა-და-სხვა ენებზედაც კი სთარგმინიან ზოგნი მაგრამ ამის შესახებ საუბარს ვსტოვებ მე და უთმობ ნათ, ვინც საქართველოს ისტორიაში მცოდნეთ იხელიან თავებს. ეს მით უფრო, რომ ამგვარი მათი ხელობა არის, რადგანაც საქართველოს ერს და მწერლობას ხშირად მოველინებიან ხოლმე ისეთი პანეგრიც მეისტორიე და მექორენი, როგორც იყო პისარეის ბარონ ბრან ბეუსი, სენკოვსკი, რომელმაც ქართველების ხსენება მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდის თითქმის რომ უარი ჰყო და გააქო! ეს ეპიტატონი იმას ბრძანებდა, რომ ქართველი ტომის ხალხმა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში მოიკარა თავიო და მხოლოდ ამ საუკუნეში აღორძინდა საქართველოშიო¹⁾ სენკოვსკის ჰაზრით სწავლა განათლებით, მწერლობით და სიმდიდრით სომხები ბევრად მაღლა სდგანან ქართველებზედაო. ამის შესახებ ჩვენც თანხმანი ვართ და სომხები ქართველებზე ბევრი რამით დგანან მაღლა, მაგრამ ის კი ვერაფერი მოუვიდა სენკოვსკის, რომ მან ასე შეურაცყოფით მოიხსენია ის ტომი, რომელიც ცნობილია ძველის ძველად ყოფილის ბიზანტიის და რომის ისტორიკო-

სების და პოეტების ნაწარმოებში. უნდა ვსთქვათ, რომ სენკოვსკის ამ გვარი შენიშვნა საქართველოს ისტორიის მწერლობა ბროსემ ერთობ საწყენოდ მიიღო და მის შემდეგ ბროსემ დაბეჭდა აკადემიის ბიულიტენში მრავალი ისტორიული და კრიტიკული სტატიები საქართველოს ერისა და მწერლობის შესახებ, რომლითაც სენკოვსკის თხუზულებათა გამოძეგმლის სიტყვით ნათელი მოჰქვინა ქართული ისტორიის და ლიტერატურის განვითარების საქმესო. გავიდა ხანი, გარდაიცვალა სენკოვსკი და მის შემდეგ ამავე ასპარეზზე, ამ ბოლო დროს, აღმოჩნდა სომხებთ გამოჩენილი ისტორიკოს პროფესორი პატკანოვი, რომელმაც თავის აზროვნებით სენკოვსკის გადაჯარბა და საქართველოს ერს და მწერლობას ბევრ ნაირად გაჰკრა კლანჭები და გაჰკენწლა. ²⁾ სწორედ ამისებურათვე ისაუბრეს ამ ოთხი წლის წინათ თფლისის სომხურ გაზეთებში, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსულიო. მაგრამ რას ჰგავს ეს და ან რა საკადრისია განათლებულ და პატიოსან პირთათვის. აქ ჩვენ კი დიდ მწუხარებას გამოვაცხადებთ ამაზე და საწყენათ კი არაფერს ვიტყვი, რადგანაც პირველი პროფესორი პატკანოვი ძველ თაობის კაცია, ამას ამ ქვეყნის არაფერი სწამს, ეს გადამკვდარია ძველი მანუშენტების ქექვაში და მასთანვე აღბორცებული წმინდა მძალე პატრიოტულის მიმართულებით, რომლის მსგავს კაცებს დღეს თვით სომხის განათლებული ემაწილ-კაცობაც სდევნის და არცხენს. ამგვარ მოწალმართე მეცნიერთ ამას გარდა შეიძლება, რომ ოდესმე ისეთი პირებიც აღმოჩნდნენ რომლებმაც პატკანოვის დამტკიცებებით მოითხოვოს, ის, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ ნამდვილათ მეთორმეტე საუკუნის პოემა და ანუ ამ პოემის დამწერს რა ეწოდება ნამდვილ სახელად და გვართა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პანეგრიც მეისტორიეები მაშინ სიტყვასაც ვერ იტყვიან და თუ იტყვიან რამეს ის იქმნება მხოლოდ ორიოდ ცნობა, რომ შოთა რუსთველი მეთორმეტე საუკუნეში სცხოვრებდა და „ვეფხვის ტყაოსანიც“ დაწერაო. სხვა ცნობების შესახებ კაცი ვერას შეიტყობს რაც გინდა ცნობის მოყვარე იყოს.

1) Полное собрание сочин. Сенковскаго 59 г. Петербургъ
 2) Журналь Мин. нар. просвѣщенія за 1838 г.



რუსული თეატრი.

რუსული თეატრის საქმე როგორც შეთხვევებს მოესხნებათ მეტად უფერულად მიდიოდა და ბოლოს საქმემ იქამდინ მიაღწია, რომ ბ-ნი ფითუაშვილმა ანტრეპრენიორობას თავი დაანება და რპერის იღბალი დირექციის ხელში გადავიდა. მიზეზი ამისა იყო საზოგადოების გულ-გრილობა. საწყალი საზოგადოება! ყოველ შემთხვევაში საზოგადოებას ამტყუნებენ, ყოველისთვის მის გულ-გრილობას ახრალბენ. ეს შემცდარი აზრია. მართალია, საზოგადოებას არ ეზატება, როდესაც იგი გულ-გრილად კვიდება ასეთს საქმეს როგორც არის თეატრი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გულ-გრილობა შედეგია რაიმე მიზეზისა. მიზეზი კი ამ შემთხვევაში არის დასის უგარვისობა. მსურველი თეატრში დადის საიმოგუნების მიღებისათვის და როცა ფულს იძლევა იმიტომ კი არა რომ საჭველ-მოჭმელთა განზრახვით იყოს გამსჭვალული, არა, ჭველ-მოჭმელებს მაგ შემთხვევაში ადგილი აღარ აქვს. თუ კი თეატრი რიგსად არის დაყენებული და მართლა საიმოგუნების წყაროდ არის გადაჭედილი, მაშინ ჩვენ დაწმუნებული ვართ საზოგადოებას საკმაოდ გაძინებს თანაგრძობას და ბლამადაც იკლის თეატრში. ბ-ნი ფითუაშვილის ანტრეპრენიოს კი ამის მართლ თავის მოწონება არ შეუძლიან. ესლა ვნახოთ როგორი გამგებლობის ნიჭს გამოიჩენს თვითონ თეატრის დირექცია. დირექტორად ამ უამდა არის ბ-ნი რროგე. მოვიტადოთ—ვნახათ.

ვალერი—ი.

სამე-რსუმე

მეგობრების მუსაიფი.

ორი გერმანელი კომპოსანტი შესვლენ ერთმანეთისა და ამ უპარი მუსაიფი გაძართეს:

- ცოლიანი ხარ?
- კინ?
- შენ.
- მე?
- ჯო.
- კი.
- ჯას;
- შენ?
- კინ?
- შენ?

- მე?
- ჯო,
- არა.
- ჯოაო!

რომ იტყვიან ლაკონური მტკერ-მეტყველობა ან მოსსლეტილი ლაზარაკიო, სწორეთ ეს არის. არა ჰვავს ზოგერთთ ჩვენ ასლ-გასდების ენა-წყვილისობას.

კოლ-ქმრობის გმირი.

ერთ ვინმეს მეტად ახსლი ცოლი ჰყვანდა; ყოველ იმის ლანძღვა-გინებასად ქმარი განუმეუბლი იყო.

— შენ სწორედ გეშინია შენი ცოლისა, უთხრა ერთხელ ერთმა მეგობარმა.

— შემცდარი ხარ. მე იმის კი არ გეშინიან, არამედ იმ აღაქათისა, რომელსაც ის აყენებს ხალმე.

ქართული თეატრი ქუთაისში.

კვირას, 16 ნოემბერს, ვ. ვიტუშინსკის თეატრში ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილ იყო მ მოქმედებიანი კომედია სუნდუკიანცასა „პეპო“ და ვოდევილი „ცოლი თუ გინდათ ეს არის“!

წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. უბილეთოთ არავენ ყოფილა, რადგანაც ვიტუშინსკიმ იმ გვარათ მოაწყო თეატრი, რომ ძნელია უბილეთოთ შესვლა. პეპო ისე ვერ ითამაშეს როგორც საზოგადოება მოვლოდა. ავერ მესამე თვეა, რაც ქუთაისში ყოველ თვეში ორჯერ წარმოდგენები იმართება ხოლმე და აქამდინ საზოგადოება კმაყოფილი რჩებოდა ქართული თეატრის რივისორ გამგებლობით, მაგრამ სამწუხაროდ წარსულ წარმოდგენამ ისე უგემურად ჩაიარა, რომ ცოტა არ იყოს გაგვაოცა. არც სცენა იყო კარგათ მოწყობილი და არც ტანისამოსი ჰქონდათ შესაფერისი, გარდა ამისა თითქმის არც ერთი მოთამაშე არ ყოფილა თავის ადგილას.

არუთინ ზიმზიმოვის როლს თამაშობდა გ. სპათავორელი და უნდა გამოეტყდეთ თავის როლი ისე ვერ შეასრულა როგორც მოველოდით და იმედიცა გექონდა, არც ჩაცმულობით და არც გარეგნობით არ ჰგვანდა სუნდუკიანცის ტიპსა, თუმცა ალა-ალაგ არა უჭირდა რა.

ფეფმის როლს თამაშობდა მ. ქაჩუხაშვილისა. იმედიცა ეს არტისტი-ქალი შემდეგში გამოდგება, მაგრამ ვერ კიდევ ბვერი უნდა ეცადოს და იწრომოს... პეპოს როლს თამაშობდა ს. პაეღეშვილი მაგრამ

სამწუხაროდ პეპოს როლი, ამ მოთამაშეს სრულებით არ უხდება და ამიტომ საკვირველიც არ არის რომ კარგათ ვერ ითამაშა. ჩვენ ის გვაკვირვებს რად იყოსრა ბ. პაეღეშვილმა ისეთი როლი, რომლის შესრულების ძალ-ღონე არ მოსდევს.

პეპოს დედის როლს თამაშობდა ეფ. მესხის ასული. სამწუხაროდ ამ შესანიშნავმა ქუთაისის თეატრის მუშაკმა ვერ შეასრულა თავის როლი ისე, როგორც მის ნიჟს შეჰფეროდა. ვერც კილოთი, ვერც ხმით და ვერც მიხერა მოხერით ვერ ემსგავსებოდა სუნდუკიანცისაგან დახატულს შუშანიკს, პატივცემულს არტისტი ქალი არაფრად არ გვანდა მოხუცებულს.

კეკეს როლს თამაშობდა კნ. ვაჩნაძისა, კარგი, იქნებოდა, რომ კერვა მინც მოეხერხებინა სცენაზედ და ან თავი, ან ტანი ისე დაეჭირა, როგორც შეჰფერის ქალის ცერვის დროს.

ერთობ სამწუხაროდ დავერჩა, რომ ბ. რიონელმა ითამაშა გიქოს როლი და თავისი ნიჟი დაჩრდილა. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რიონელს კიდევ აედოს ამისთანა როლები, თორემ სრულებით თავს შეგვაძულავს. ნეტა რამ აიძულა იმისთანა კარგი არტისტი, რომ მოჰკიდა ხელი იმისთანა როლს, რომელსაც ამაზედ უხვირო მოთამაშე უკეთ ითამაშებდა. ეს ამტკიცებს, რომ რიონელს ჯერ ვერ შეუღწია თავისი ამპლუა. სამსონის და გიგოლის როლების მოთამაშენი სხვა ზემოხსენებულზედ ნაკლებ არ თამაშობდნენ.

კაკულის როლს ასრულებდა გატირელი. რაც უსიამოვნობა ზემოხსენებულ მოთამაშეთაგან მივიღეთ ის ყველაფერი დაგვაიწყა ბ. გატირელმა და მოგახიბლა თავის ხელოვნურის თამაშით. სწორედ მაღლოპის ღირსია იმისთანა პირი როგორც ბ. გატირელი, რომელიც საქმეს ემსახურება და არა ფულს სამწუხაროდ ასე უფეროდ ჩაიარა პეპომ. ამიტომ ერთი შენიშვნა თვით ბ-რეჟისორს: ნუ დასდგამს ასეთს პიესას, რომლის შესრულება და წარმოდგენა ყოველად შეუძლებელია ქუთაისის სცენაზე და ჩენი დასის ძალით სულ დაგვაიწყა პეპო. ერთ მოქმედებიაში ვოდვეილმა: „ცოლი თუ გინდა ეს არის.“ ძალიან მკვირცხლად და სსიამოვნოთ გაიარა. შეუდარებელი იყვნენ დ. რიონელი და თიკოს როლში და ე. მესხის-ასული ანეტას როლში. კარგათ აგრეთვე ითამაშა ს. გატირელმაც ქარსიძის როლში.

შემდეგში კიდევ წევრები გავაცნო „თეატრის“ მკითხველები ქუთაისის თეატრის საქმეს.—
ვინ—ა?

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

„თეატრის“ რედაქცია.

მომავლის წლისათვის განაგრძობს ხელის მოწერის მიღებას.

გასეთი „თეატრის“ პროგრამა მომავლის წლისათვის ისევე ის დაჩვენა, როგორც წინ-წლებში. დაიბეჭდება: სსკათა შორის ქოთნობანი როგორც ორკინალი აგრეთვე საუკეთესო უცხო თსულებათა თარგმანები, ჰიესები: ვოდვეილი, კომედი და ტრაგედია, ანეკდოტები: მოსწრებული სიტყვები, გასართობენი სასატილო ამბები და სხვა. გამოცანები; ხალხური, სამატემატიკო, საართომეთიკო; ანდაზები, იგავები ლექსები: კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; გაჩვენა ჰიესებისა და წარმოდგენებისა, რეცენზიები და სხვა.

ფასი გასეთისა წლით 5 მ. ნახევარწლით 3 მ.

გამოკადა და იუილება ქუთაისში, ი. მურადიას წიგნის მაღაზიაში

ქართული წერის დედანი

მ. შ ა ბ ი ჩ შ ა ძ ი ს .

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იუიდის, ეგზემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეცხვენება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მისწვლილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელემენტობით; 2.) დახატარავებული საშუალო გრგვალი ხელი უბადეოთ ოთხს ხაზში; 3.) გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4.) გადახრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადაბმულად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით. დედანს აქვს სულ 24 გვერდი.

ОБЪ ИЗДАНИИ ВЪ 1887 ГОДУ
ПОЛИТИКО-ЛИТЕРАТУРНО-ЮРИДИЧЕСКОЙ

газеты

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Бывшее «юридическое обозрѣніе»)

годъ седьмой

Издавая въ теченіи шести лѣтъ „Юридическое Обозрѣніе“, посвященное изученію юридическихъ вопросовъ, судебной практики и правовой жизни, редакция журнала, въ виду нарождающихся потребностей, признала необходимымъ расширить программу и съ 1-го Января 1887 года издавать ежедневную политико-литературно-юридическую газету, подъ названіемъ „Кавказское Обозрѣніе“

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичныя, иногородніе и мѣстные Кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели,—специалисты по разнымъ отдѣламъ изданія.

Газета будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ-воскресныхъ дней, въ количествѣ 350 №№ въ годъ, въ форматѣ обыкновеннаго газетнаго листа, по слѣдующей программѣ:

1. Статьи по вопросамъ: а) теории и практики права и судопроизводства, экономическимъ финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по обычному праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлю, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.—III. Судебное обозрѣніе (судебные отчеты и кассационныя рѣшенія).—IV. Общественное Обозрѣніе (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. Тифлисское и кавказской Обозрѣніе (новости и корреспонденціи).—VI. Русское Обозрѣніе.—VII. Иностранное Обозрѣніе.—VIII. Обозрѣніе русской и иностранной періодической печати; критика и библиографія.—IX. Торговопромышленное Обозрѣніе (торговопромышленныя свѣдѣнія и курсы).—X. Фельетонъ: романы, повѣсти, рассказы о явленіяхъ общественной жизни и стихотворенія.—XI. Послѣднія новости и телеграммы.—XII. Смѣть.—XIII. Театръ и музыка.—XIV. Справочный указатель (резюмѣ Тифлискихъ судебныхъ постановленій по дѣламъ апелляціоннымъ кассационнымъ и пр.).—XV. объявленія.

Условія подписки:

РЕДАКЦІЯ И АДМИНИСТРАЦІЯ ГАЗЕТЫ (для приѣма подписки, объявленій и разначной продажи)—ТИФЛИСЪ. Сололаки, Нагорная улица, д. № 21.

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою.)

| Въ Россіи | Руб. коп. | За границею: | Руб. коп. |
|-------------------|-----------|--------------|-----------|
| На 12-ть мѣсяцевъ | — 12 | На годъ | — 19 |
| — 6 | — 6 50 | — полъ года | — 10 |
| — 3 | — 3 50 | | |
| — 1 | — 1 50 | | |

для г. г. студентовъ годовая плата—9 р., съ разсрочкою: при подпискѣ, въ апрѣлѣ и августѣ по 3 р.

Отдѣльныя №№ газеты по 5 коп.

ОБЪЯВЛЕНІЯ, за занимаемое мѣсто, строка петица 5 коп.; при неоднократныхъ объявленіяхъ, дѣляется скидка.

Подписка на газету и объявленія также принимаются: въ Тифлисѣ: въ типографіи „Кавказское Обозрѣніе“ (Дворцовая улица, каравансарай, бывшій Ардруни) и въ Центральной книжной торговлѣ, въ Петербургѣ и Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: И.И. Анисимова и „Новаго Времени“, въ Харьковѣ—въ книжн. магаз. „Новаго Времени“, въ Одесѣ—у Распопова, въ Варшавѣ—у Райхмана и Френдлера и др.

При доставленіи въ редакцію экземпляра сочиненія юридическаго или иного содержанія о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація

Редакторъ—издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.